

საქართველოში პასუხისმგებლობის დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების პოპულარიზაციაში მედიასაშუალებების მნიშვნელობა და როლი

The Importance and Role of the Media in Promoting the Socio-Economic Aspects of Liability Insurance in Georgia

ნანა შონია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

Nana Shonia

Akaki Tsereteli State University, Professor

ანოტაცია

ნანა შენგელია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

Nana Shengelia

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

საქართველოს ეროვნულ სადაზღვევო ბაზარზე პასუხისმგებლობის დაზღვევა დაბალი მოთხოვნადობით ხასიათდება, მიუხედავად იმ იდეისა რისი მატარებელიც აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტი არის. პასუხისმგებლობის დაზღვევა ის აუცილებელი ატრიბუტია საფინანსო-სადაზღვევო სისტემისა, რომლის გარეშეც დღევანდელი მაღალგანვითარებული სახელმწიფო წარმოდგენილია. შესაძლებელია ითქვას, რომ განვითარებადი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების კვალდაკვალ აუცილებლად უნდა მოხდეს, დაზღვევის, და კერძოდ, პასუხისმგებლობის დაზღვევის უფრო მეტად შესვლა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ამან არა გარკვეული ტვირთის, არამედ სიმშვიდისა და დაცულობის შეგრძნება უნდა დატოვოს სადაზღვევო პროდუქტით მოსარგებლეში, ამისთვის კი აუცილებელია სადაზღვევო პრემია შესაბამისი პოლისის მფლობელის მოსალოდნელ ზიანზე ნაკლები სიდიდის იყოს.

ჩვენს ქვეყანაში პრობლემები, როგორც ზოგადად სადაზღვევო ბიზნესში, მრავლადაა პასუხისმგებლობის დაზღვევაშიც. აღსანიშნავია, რომ ისეთი პრობლემების მოგვარება, რომლის შედეგადაც არსებული სოციუმი უფრო დაცულად იგრძნობს თავს, ხელეწიფება მხოლოდ დამსოლოდ სახელმწიფოს, თუმცა აუცილებელია შესაბამისი ქმედებები სადაზღვევო კომპანიათა ჩართულობით განხორციელდეს.

შესაძლებელია, პასუხისმგებლობის დაზღვევის პრობლემატიკა რამოდენიმე ერთმანეთთან მჭიდროდ არსებულ პრობლემად დავსახოთ, კერძოდ - დღეისათვის ეროვნულ ბაზარზე არსებობს ექიმის პასუხისმგებლობის დაზღვევის პროდუქტი, მაგრამ კვლევის შედეგად მხოლოდ 0,3 პროცენტი სარგებლობს აღნიშნული პროდუქტით, ამიტომ მიგვაჩნია რომ აუცილებელია ამ პროდუქტის სავალდებულო სახედ გადაქცევა მზღვეველებისა და სამედიცინო დაწესებულებების დახმარებით. სწორედ ამ სუბიექტებს შეუძლიათ თითოეული ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას შემთხვევით რისკებისაგან. შესაძლებელია შესაბამისი სქემის განხორციელება გარკვეული პროგრამის მეშვეობით სადაც სახელმწიფოსა და ექიმს შორის შუამავალ რგოლებად სამედიცინო დაწესებულებები და სადაზღვევო კომპანიები მოგვევლინებინა.

გარდა ამისა, აუცილებლად მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ აქაც, როგორც სხვა ნებისმიერ ურთიერთობაში სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის აუცილებელია ბოლომდე იქნას შენარჩუნებული კონკურენტუნარიანობის ელემენტები, რაც მზღვეველებს იძულებულს გახდის გაუფრთხილდნენ თავიანთ კლიენტებს როგორც ახალი, სხვა კლიენტების მოძიების, ისე არსებული კლიენტების შენარჩუნების მიზნით.

როგორც წესი, ნებისმიერი სიახლე, რომელიც უნდა მიიღოს და გაითავისოს სამოქალაქო საზოგადოებამ, საჭიროებს ინფორმაციის სწორად, ოპერატიულად და მიზანმიმართულ გავრცელებას. სასურველია ტრადიციული მედიასაშუალებების თუ ინტერნეტმედიის ვლდებულებად დაისახოს პასუხისმგებლობის დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების შესახებ ინფორმაციის პერიოდული

და ამომწურავი გავრცელება, რადგან ინფორმირებული საზოგადოება თავისთავად ნიშნავს განათლებულ სამოქალაქო საზოგადოებას. ეს პირდაპირპროპორციულია საქართველოში პასუხისმგებლობის დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესთან.

საკვანძო სიტყვები: პასუხისმგებლობის დაზღვევა, სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, მედიასაშუალებები, ექიმთა პასუხისმგებლობის დაზღვევა, ავტორანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა

Abstract

On the national insurance market liability insurance is characterized by low demand, in spite of the idea implied under the insurance product. Liability insurance is an essential attribute of the financial and insurance system and it is difficult to imagine a modern, highly developed country without it. It can be said that along with the development of the socio-economic system of a developing country the insurance, and in particular, liability insurance, should become more accessible to people. It should not be a burden for the society, but should give the customers the feeling of peace and security. Therefore, it is necessary that the insurance premium for the policyholder was smaller than a potential loss or damage.

Georgia experiences a number of problems in liability insurance like in many other types of insurance business in general. It should be noted that the following problems, as a result of which the society will feel more secure, can only be solved by the state. However, it is necessary to carry out the relevant actions with the insurance companies involved.

It is possible to divide the problems of liability insurance into several closely related categories, namely: at present on the national market there is a liability insurance product for physicians, but survey has shown that the product is used only by 0.3%. So, we believe that it is necessary to make the product mandatory with the assistance of insurers and medical institutions. They can protect professional liability of each physician against the accidental risks. It is possible to implement an appropriate scheme through a specially designed program where medical institutions and insurance companies will serve as the mediators between the state and a physician.

In addition, we consider it necessary to note that, like in any other relations it is necessary to maintain the element of competitiveness between the state and insurance companies, which will make the insurers take care of their clients in order to attract new customers and keep the old one.

As a rule, the information about any innovation that should be provided to the civic society needs to be correctly, timely and purposefully disseminated. Preferably, the traditional media and the Internet media should take responsibility to periodically and comprehensively disseminate the information about the social-economic aspects of liability insurance as a well-informed society is an educated civil society. This is directly proportional to the socio-economic progress of liability insurance in Georgia.

Key words: Liability insurance, Socio-economic aspects, Media Resources, Doctors' liability insurance, Vehicle Owners Liability Insurance

საქართველოს ეროვნულ სადაზღვევო ბიზნესში პასუხისმგებლობის დაზღვევა დაბალი მოთხოვნადობით ხასიათდება, მიუხედავად იმ იდეისა რისი მატარებელიც ეს სადაზღვევო სახეობა არის. პასუხისმგებლობის დაზღვევა ის აუცილებელი ატრიბუტია მაღალგანვითარებული საფინანსო-სადაზღვევო სისტემისა, რომლის გარეშეც დღევანდელი მაღალგანვითარებული სახელმწიფო წარმოუდგენელია. შესაძლებელია ითქვას, რომ განვითარებადი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების კვალდაკვალ აუცილებლად უნდა მოხდეს, დაზღვევის და კერძოდ პასუხისმგებლობის დაზღვევის უფრო მეტად შესვლა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ამან არა გარკვეული ტვირთის არამედ სიმშვიდისა და დაცულობის შეგრძნება უნდა დატოვოს სადაზღვევო პროდუქტით მოსარგებლეში, ამისთვის კი აუცილებელია სადაზღვევო პრემია შესაბამისი პოლისის მფლობელის მოსალოდნელ ზიანზე ნაკლები სიდიდის იყოს.

სამოქალაქო საზოგადოების დინტერესება დიდადა დამოკიდებული მათ დროულ და სწორ ინფორმირებაზე. როგორც წესი, ნებისმიერი სიახლე, რომელიც უნდა მიიღოს და გაითავისოს სამოქალაქო საზოგადოებამ, საჭიროებს ინფორმაციის სწორად, ოპერატიულად და მიზანმიმართულ გავრცელებას. სასურველია ტრადიციული მედიასაშუალებების თუ ინტერნეტმედიის ვლდეულებად დაისახოს პასუხისმგებლობის დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების შესახებ ინფორმაციის პერიოდული და ამომწურავი გავრცელება, რადგან ინფორმირებული საზოგადოება თავისთავად ნიშნავს განათლებულ სამოქალაქო საზოგადოებას. ეს პირდაპირპროპორციულია საქართველოში პასუხისმგებლობის დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესთან.

პრობლემები, როგორც ზოგადად სადაზღვევო ბიზნესში, მრავალადაა პასუხისმგებლობის დაზღვევაშიც. აღსანიშნავია, რომ ისეთი პრობლემების მოგვარება, რომლის შედეგადაც არ-

სებული სოციუმი უფრო დაცულად იგრძნობს თავს, ხელეწიფება სახელმწიფოს, თუმცა აუცილებელია შესაბამისი ქმედებები სადაზღვევო კომპანიათა ჩართულობით განხორციელდეს. ეს აუცილებელი პირობაა. თუმცა პროცესი არ არის ცალმხრივი. მოქალაქეთა ჩართულობა განსაზღვრავს სამოქალაქო დაზღვევის პროცესის განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოების მზაობა მათი კი განათლების, ინფორმირებულობის საფუძველზე მიიღწევა. შედეგად დღის წესრიგში ჩნდება მოთხოვნილება უფრო მეტი დრო და სივრცე დაუთმოს ქართულმა მედიასაშუალებებმა აღნიშნული საკითხის განხილვას და პოპულარიზაციას.

შესაძლებელია, პასუხისმგებლობის დაზღვევის პრობლემატიკა რამოდენიმე ერთმანეთთან მჭიდროდ არსებულ პრობლემად დავსახოთ, თუნდაც ავტოდაზღვევასთან. თავისი ფართო მოცულობითი ხასიათიდან გამომდინარე ავტოდაზღვევა საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა ნაწილად განვავარცოთ შესაბამისი სახეობა. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის MTPL სახე, პასუხისმგებლობის ნაწილს წარმოადგენს და ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მესამე პირის წინაშე წარმოქმნილ პასუხისმგებლობის დაზღვევას გულისხმობს. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ეს სადაზღვევო პროდუქტი, როგორც ცალკეული ასევე CASCO დაზღვევასთან ერთად კომბინირებული სახით იყიდება. ის, თუ რამდენად წარმოადგენს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი საფრთხეს მესამე პირისათვის შესაძლოა განსჯის საგანი იყოს, თუმცა შეგვძენია იმისა, რომ გარკვეულ ვითარებაში უბედური შემთხვევისას წარმოქმნილი ზარალისაგან გარკვეულწილად დაცული ხარ, ის შეგვძენია რომელიც აუცილებელია გააჩნდეს მოსახლეს იმ ქვეყნისას, რომელიც იღწვის მაღალგანვითარებულ და დაბალანსებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს.

ხშირად სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულო სახედ ჩამოყალიბება, ქვეყნის მოსახლეობაზე ზრუნვის პირდაპირი მანქანებელია, რამეთუ პასუხისმგებლობის რისკებთან დაკავშირებული დაცულობა მოსახლეობაში დადებითი ხასიათის მატარებელია. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო სახით არსებულმა გადასახადებმა მოსახლეობის კეთილდღეობაზე უკუგავლენა არ უნდა იქონიოს, ანუ უნდა იყოს მაქსიმალურად მცირე და ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით მოქმედი ხასიათის მატარებელი. სიხლეს, როგორც წესი მოსახლეობა ხვდება სკეპტიკურად. მაგრამ მედიასაშუალებების, განსაკუთრებით ტელევიზიის როლი საკითხის პოპულარიზაციაში, განუხომლად დიდია. მაშინ როცა მოქალაქეს პირდაპირი ეთერით კომპეტენტური პირი უხსნის შეთავაზებული პაკეტის უპირატესობას, იზ-

რდება დარწმუნებულობა, დასწრების ეფექტი, ნდობა. შედეგი ხდება სასურველი. შესაბამისად, საინფორმაციო პროპაგანდა განმსაზღვრელი წინაპირობაა.

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის მიწურულს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო ვინც, ავტომფლობელთა სავალდებულო პასუხისმგებლობის დაზღვევა შემოიღო. შესაბამისად კანონმა 1997 წლიდან 2004 წლამდე იარსება, ეს პერიოდი სავსე იყო, თავისუფალი, კონკურენტული ბაზრისათვის არა-დამახასიათებელი მოვლენებით და საბოლოოდ 2004 წელს იმდენად მანკიერი სახის შექნა არსებული სფერო, რომ კანონი მართლაც შესაჩერებელი იყო. მაშინ, როდესაც არსებული კანონის შექმნისათვის ძირეული ნაბიჯების გადამდგმელნი და ინიციატორნი სადაზღვევო კომპანიები იყვნენ, სახელმწიფო ვალდებულები იყო დროთა განმავლობაში დაეხვეწა კანონი და ეზრუნა იმაზე რომ მისი მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო. თუმცა, მაშინდელი საქართველოსათვის დამახასიათებელმა კორუფციულმა იდეოლოგიამ საბოლოოდ უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობაზე, ნაცვლად იმისა რომ არსებული კანონით დაცულად ეგრძნო თავი, მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის ეს მხოლოდ გაზრდილი გადასახადი იყო. დღეისათვის, შესაბამისი კანონის არარსებობა, უარყოფითად იხსება როგორც სადაზღვევო ბიზნესზე ასევე მოსახლეობის კეთილდღეობის მანქანებელზე, შესაძლოა პირველ ეტაპზე მთავრობიდან გამომდინარე მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით იქნას მოწონებული ეს კანონი, მაგრამ დროთა განმავლობაში, არსებული კანონის სწორად გატარების შემთხვევაში, მოსახლეობამ აუცილებლად უნდა იგრძნოს სარგებელი. კანონის ამოქმედების, თვალსაზრისით, უპირველესი დატვირთვა მოდის იმაზე თუ როგორი იქნება მოსახლეობისათვის არსებული კანონის მიწოდების ფორმა, კანონის შინაარსი, სადაზღვევო დაფარვის მოცულობა და ხარისხი. აუცილებლობად მიგვაჩნია, კანონი მოქმედებდეს საქართველოში არსებულ ყველა ავტომობილზე, მათ შორის იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა შესრულაც საქართველოში, მხოლოდ გარკვეული პერიოდით ხდება.¹ შესაძლებელია ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა მესამე პირის წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ გარკვეული სახის ტენდერში გამარჯვებული რომელიმე ერთი ან რამოდენიმე სადაზღვევო კომპანიის მიერ, იმ პერიოდულობით რა დროსაც არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ქვეყნის ტერიტორიაზე დაჰყოფენ. აუცილებელია, არსებული კანონის გატარება მოხდეს სადაზღვევო კომპანიათა გავლით, ანუ მზღვეველებმა შეასრულონ კონკურენტულ ბა-

1 საუბარია, იმ ავტოსატრანსპორტზე, რომლებიც სახელმწიფო საზღვარს კვეთენ, ნებისმიერი მიზნით.

ზარზე შუამავლის როლი სახელმწიფოსა და შესაბამისი კანონით მოსარგებლეთა შორის, აუცილებელია შენარჩუნებულ იქნას კონკურენტული მოდელის სახე, რამეთუ სადაზღვევო ბიზნესის სწორად ფუნქციონირება მხოლოდ თავისუფალ, კონკურენტულ ბაზარზეა შესაძლებელი, იმ სახით რომ, ფუნქციონირების საბოლოო შედეგი ზოგადი კეთილდღეობის ზრდა იყოს.

გარდა, ქონების დაზღვევაში არსებული პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულო ხასიათისა, ბაზარზე პრობლემად გვხვდება ისეთი ტიპის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის განუვითარებლობა, როგორცაა ექიმთა პასუხისმგებლობის დაზღვევა. არსებითად, შესაბამისი პროფესიის წარმომადგენლები მუდმივად დგანან იმ საფრთხის წინაშე რასაც პაციენტისათვის მიყენებული ზარალი ჰქვია და ხშირ შემთხვევაში ეს ზიანი არ არის დამოკიდებული ექიმთა გამოცდილებაზე და სამუშაო პრაქტიკაზე. რიგ შემთხვევაში სხვადასხვა სახის მედიკამენტური მკურნალობის, თუ ქირურგიული ჩარევის მიუხედავად პაციენტის ჯანმრთელობა შესაძლებელია გაუარესდეს კიდევ. ასეთი სახის პასუხისმგებლობის დაზღვევისას სადაზღვევო შემთხვევად უნდა ჩაითვალოს სამედიცინო საქმიანობის დროს მესამე პირისათვის ზიანის მიყენება შეცდომით დასმული დიაგნოზის, არასწორად ჩატარებული სამკურნალო კურსის, თუ სხვა მიზეზების გამო, რაც გვხვდება საექიმო პრაქტიკაში. უპირველესად, ამ სახის სადაზღვევო პროდუქტის განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი პროფესიასთან მიმართებით, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზისა და არსებული სტანდარტების რეგულირება და სრულქმნა. დღეისათვის ეროვნულ ბაზარზე, არსებობს ექიმის პასუხისმგებლობის დაზღვევის პროდუქტი, თუმცა მიგვაჩნია რომ აუცილებელია ამ პროდუქტის სავალდებულო სახედ გადაქცევა, მზღვეველებისა და სამედიცინო დაწესებულებების დახმარებით, სწორედ ამ სუბიექტებს შეუძლიათ თითოეული ექიმის პრო-

ფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას შემთხვევითი რისკებისაგან. შესაძლებელია შესაბამისი სქემის განხორციელება გარკვეული პროგრამის მეშვეობით, სადაც სახელმწიფოსა და ექიმს შორის შუამავალ რგოლებად სამედიცინო დაწესებულებები და სადაზღვევო კომპანიები მოგვევლინებინან. სავალდებულოა არსებული პირობები იყოს მისაღები ექიმებისათვის და სადაზღვევო კომპანიებისათვის, რათა ურთიერთობისას ორივე მხარეს გააჩნდეს შესაბამისი მოტივაცია, მათგან პირველს - გადაიხადოს სადაზღვევო პრემია, რისკისაგან თავდაცვის მიზნით, ხოლო მეორეს - სრულყოს, გახადოს მეტად სასურველი, სადაზღვევო პროდუქტი, მეტი კლიენტის მოძიების მიზნით. აუცილებლად მიმჩნია აღინიშნოს, რომ აქაც, როგორც სხვა ნებისმიერ ურთიერთობაში სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის აუცილებელია ბოლომდე იქნას შენარჩუნებული კონკურენტუნარიანობის ელემენტი, რაც მზღვეველებს იძულებულს გახდის გაუფრთხილდნენ თავიანთ კლიენტებს როგორც ახალი, სხვა კლიენტების მოძიების, ისე არსებული კლიენტების შენარჩუნების მიზნით.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე დაისმის კითხვა: ასრულებს თუ არა ტელევიზია თუ ნებისმიერი საინფორმაციო საშუალება იმ ვალდებულებას, რასაც საზოგადოების ინფორმირებულობა ჰქვია. მით უფრო, როცა საქართველოში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხთან დაკავშირებით მოქალაქეთა დაინტერესება დიდი არ არის. განხორციელებული კვლევა აჩვენებს, რომ საინფორმაციო საშუალებებში დიდი დრო ან სივრცე არ ეთმობა პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხს. ალბათ აქაც უნდა გამოვეყნოთ ინტერნეტის უპირატესობა, რადგან სწორედ სოციალური ქსელები, საიტები, ბლოგები, ფორუმები და „იუთუბი“ იძლევა შედარებით ამომწურავ ინფორმაციას.

ლიტერატურა/REFERENCES

1. ბენიძე ნ., შონია ნ, ბიწაძე ჯ. რისკები და დაზღვევა, თბ. 2010 წ. {Benidze N., Shonia N., Bitcadze J. Risks and Insurance. Tb., 2010};
2. Земцова А. И. - Страхование туристов. Альметьевск , 2010;
3. Ивасенко А. Г. – Страхование. Москва, 2009;
4. Кричевский Н. А. - Государственное регулирование социального страхования. Москва 2007;
5. Кузнецова Н. Л., Сапожникова А. В. - Актуарная математика. Тюмень, 2010;
6. Спринсян Т. - здравоохранения швейцарии. 2015;
7. Томсон С., Фобистер Т., Моссиалос Э. - Финансирование здравоохранения в Европейском союзе. по заказу и на средства Комитета Европарламента по занятости и социальным вопросам, 2010;
8. Черникова Л. И. - Страхование и риски в туризме. Москва ,2010;
9. <http://insurance.org.ge>
10. <http://geostat.ge/>
11. <http://insurance.gov.ge>
12. <https://matsne.gov.ge>
13. <http://www.moh.gov.ge>
14. <http://www.2tv.ge/ge/videos/view/19812/303.html>
15. <http://1tv.ge/ge/videos/view/19812/303.html>